

### პალეოგრაფიული ექსპედიცია სინაზე\*

სინის მთის წმ. ეკატერინეს მონასტრის ბიბლიოთეკა ერთ-ერთი უმდიდრესი და ამავდროულად ერთ-ერთი ყველაზე ნაკლებ ხელმისაწვდომია აღმოსავლურ-ქრისტიანული ხელნაწერების ბიბლიოთეკათა შორის. ეს კარგადაა ცნობილი ბევრი აღმოსავლეთმცოდნისთვის, რომლებიც ზოგჯერ, წლების მანძილზე ცდილობდნენ გაცნობოდნენ იქ დაცულ ტექსტებს. მოგზაურობა მოსეს მთამდე, – რომლის ძირშიც იუსტინიანეს დროიდან მოყოლებული მონასტრის უზარმაზარი კედლებია აღმართული, – ხანგრძლივია, ძნელი და ძვირადღირებული; სუეციდან მიმავალ ქარავანს ერთი კვირა სჭირდება იქ მისაღწევად; მანქანით ორი დღეა საჭირო 392 კმ-ის გადასალახად, წმ. ეკატერინეს მონასტერს ქაიროდან რომ აშორებს. მგზავრობის სირთულეებს მონასტერში ცხოვრების სირთულეებიც ერთვის, ბიბლიოთეკის განაწესი კი კრძალავს ხელნაწერის ფოტოგრაფირებას. გასაგებია, რომ ასეთ პირობებში, საკუთარი ძალების ანაზრად დარჩენილი მეცნიერისთვის პრაქტიკულად შეუძლებელია გაეცნოს სინურ ხელნაწერებს.

1914 წლის გაზაფხულზე, კარლ შმიდტისა და ბერნარ მორიცისაგან შემდგარი გერმანული ექსპედიცია სინაზე გაემგზავრა, რათა ადგილზე შეესწავლათ ბერძნული და არაბული ხელნაწერები და საარქივო საბუთები. შმიდტმა შეადგინა ბერძნულ ხელნაწერთა დეტალური კატალოგი; მორიცმა იგივე გააკეთა არაბულ ხელნაწერებსა და ფირმანების კოლექციასთან დაკავშირებით; გარდა ამისა, მათ გადაიღეს ხელნაწერებისა და შესწავლილი აქტების 10 000-მდე ფოტო. იმავე წლის აგვისტოში, როცა შმიდტის ექსპედიცია სუეცში დაბრუნდა, მათ პირველმა მსოფლიო ომმა მოუსწრო და სინიდან წამოღებული მთელი სამეცნიერო დოკუმენტაცია, ფოტოების ჩათვლით, ბრიტანელმა ხელისუფლებმა ჩამოართვეს და გაანადგურეს (იხ. C. Schmidt,

\* Gérard Garitte. Expédition paléographique au Sinaï. *Le Muséon*, 1950, LXIII, 119-121.

B. Moritz, Die Sinai-Expedition im Frühjahr, 1914. in: Sitzungsber. d. preuss. Acad. D. Wiss., 1926, p. 26-34).

საინტერესოა, რომ 1914 წლის წარუმატებელი მცდელობა მიმდინარე წელს გაცილებით უფრო დიდი მასშტაბით განახლდა ვაშინგტონის „კონგრესის ბიბლიოთეკის“, „ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ამერიკული ფონდისა“ და ალექსანდრიის ფარუხ I-ის უნივერსიტეტის მიერ მოწყობილი ამერიკულ-ეგვიპტური ექსპედიციის მიერ. ექსპედიციის მიზანი იყო, რაც შეიძლება დიდი რაოდენობით ხელნაწერისა და დოკუმენტის მიკროფილმის დამზადება; ფოტოები უნდა გადასცემოდა კონგრესის ბიბლიოთეკას, ფარუხ I-ის უნივერსიტეტს კი მათი ასლები.

Corpus Scriptorum Christianorum Orientalium-ს, რომლის მთავარი სამდივნო, როგორც ცნობილია, ლუვენის უნივერსიტეტში არის განთავსებული, სთხოვეს, ჩართულიყო ექსპედიციაში, რომელსაც ჩვენი სახით მიაწოდეს ორიენტალისტი, რომელიც აუცილებელი იყო სხვადასხვა აღმოსავლურ-ქრისტიანული ფონდების შესასწავლად და ფოტოგრაფირების სახელმძღვანელოდ. ასე მხვდა პატივი მიმდინარე წლის 26 თებერვლიდან 11 მაისამდე

აღმოვჩენილიყავი წმ. ეკატერინეს მონასტერში და ადგილზე შემესწავლა ხელნაწერები.

მონასტრის ბიბლიოთეკის ფონდი მნიშვნელოვანია როგორც მოცულობით, ისე ნაირგვარობით; მასში ქრისტიანული აღმოსავლეთის თითქმის ყველა ენა არის წარმოდგენილი, თან ზოგი მათგანი მნიშვნელოვანი კოლექციითაც. ამ კოლექციებში დაცული ხელნაწერები განსაკუთრებით საინტერესოა, რადგან ისინი ნაკლებად არიან შესწავლილი, ვიდრე უფრო ადვილად ხელმისაწვდომი ევროპული თუ აღმოსავლური ფონდების ხელნაწერები. დღემდე უცნობი იყო ბიბლიოთეკის ზუსტი შედგენილობა, მისი ფონდების რაოდენობა თუ ხასიათი და თითოეული სერიის ხელნაწერთა რაოდენობა. ბიბლიოთეკის თაროებზევე ჩატარებული შემოწმებით გაირკვა, რომ სინური კრებულები შემდეგნაირად ნაწილდება:

- ბერძნული ფონდი: 2289 ხელნაწერი (და არა 2400-ზე მეტი, როგორც ვარაუდობდნენ; იხ. M. Richard, Répertoire des bibliothèques et des catalogues de manuscrits grecs, Paris, 1948, გვ. 99, n. 456)

- არაბული ფონდი: 580 ხელნაწერი

- სირიული ფონდი: 276 ხელნაწერი (აქედან 15 დაკარგულია) და 3 პალესტინური

- ქართული ფონდი: 98 ხელნაწერი (აქედან 8 დაკარგულია და 1 სომხური, n. 87)

- სლავური ფონდი: 41 ხელნაწერი (აქედან 1 ლათინური, n. 5)

– ეთიოპიური ფონდი: 6 ხელნაწერი

სულ, დაახლოებით 3300 ხელნაწერი; წარმოუდგენელი იყო მათი ყველას გადაღება; საჭირო იყო შერჩევა, განსაკუთრებით ბერძნულ ფონდში; გადავწყვიტეთ, შეგვეჩრია მცირე ნაწილი მნიშვნელოვანი ბერძნული ხელნაწერებისა და სრული სახით გადაგველო:

– ყველა ბიბლიური ხელნაწერი (ძველი და ახალი აღთქმა), გარდა 1500 წ.-ზე გვიანდელი ორმოცდაათიოდე ფსალმუნისა.

– XV საუკუნემდელი ყველა ხელნაწერი

– XV საუკუნემდელი ყველა პატრისტიკული ხელნაწერი

– XIII საუკუნემდელი ყველა ლიტურგიკული ხელნაწერი

– ყველა საერო ხელნაწერი

– დაბოლოს, ყველა ხელნაწერი, რომელთა ფოტოებსაც ითხოვდნენ ცალკეული მეცნიერები თუ სამეცნიერო დაწესებულებები (როგორებიცაა Corpus Scriptorum Christianorum Orientalium, ბოლანდისტთა საზოგადოება, ტექსტების კლევებისა და ისტორიის ინსტიტუტი, შეიერნის ბიზანტიური ინსტიტუტი და ა. შ.)

29 აპრილისათვის, როცა სამწუხაროდ, ფირების ამოწურვის გამო დროებით შევწყვიტეთ ფოტოგრაფირება, 852 ბერძნული ხელნაწერი მთლიანად იყო გადაღებული.

რაც შეეხება ბერძნულ ფონდზე ნაკლებ მნიშვნელოვან აღმოსავლურ ფონდებს, პრინციპში, გადაწყდა მათი მთლიანად გადაღება; იმ დროისათვის გადაღებული იყო ქართული ფონდის ყველა ხელნაწერი, სლავური ფონდის ყველა ხელნაწერი, 5 ეთიოპიური ხელნაწერი (მეექვსეს მოგვიანებით მივაკვლიეთ) და სირიული ფონდის 38 ხელნაწერი. სულ, (ბერძნული ხელნაწერების ჩათვლით) 1025 ხელნაწერი, ჯამში ნახევარმილიონამდე გვერდი, რისთვისაც 7 კმ-ზე მეტი სიგრძის ფირი დაგვჭირდა. გარდა ამისა, ცალკე ფირებზე გადაღებულ იქნა 929 მინიატურა.

ხელნაწერთა ფონდების გარდა, მონასტრის ბიბლიოთეკას აქვს არაბული და თურქული საარქივო მასალა, რომელიც ბიბლიოთეკის მნიშვნელოვან კოლექციას წარმოადგენს. ეს უმდიდრესი კოლექცია ხელნაწერებზე ნაკლებადაა შესწავლილი. იგი მოიცავს XII – XIX სს 2000-ზე მეტ დოკუმენტს და უნიკალურ ცნობებს გვაწვდის მუსულმანური ადმინისტრირებისა და დიპლომატიის ისტორიის შესახებ. ეს აქტები დანომრილ, დაჯგუფებულ და აღნუსხულ იქნა ალექსანდრიის უნივერსიტეტის პროფესორის, ბ-ნ ა.ს. ატიას მიერ. კოლექციის ნაწილი (824 საბუთი) უკვე მიკროფილმირებულია, დანარჩენი უახლოეს მომავალში იქნება გადაღებული. ასეთია სინის პალეოგრაფიული ექსპედიციის წინასწარი ანგარიში.

მრავალი ორიენტალისტი, ისტორიკოსი, თეოლოგი და ფილოლოგი მაღლიერი იქნება ამერიკის და ეგვიპტის სამეცნიერო დაწესებულებების, რომელთაც ეს სამუშაო განახორციელებს. უმდიდრესი და ყველაზე ძნელად ხელმისაწვდომი ბიბლიოთეკის მეცნიერთა განკარგულებაში მოქცევით, ეს დაწესებულებები დიდად შეუწყობენ ხელს ქრისტიანული კვლევების წინსვლას მრავალი წლის განმავლობაში.

ფრანგულიდან თარგმნა  
ცისანა ბიბილეიშვილმა  
კავკასიის უნივერსიტეტი